

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

A handwritten signature in blue ink, written over a horizontal line.

კახაბერ კირტავა

__29__.12___.2014 წელი

2 ეგზ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 31/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

აუდიტის მასშტაბი	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	5
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	5
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	5
დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	7
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	10
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	11
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	11
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	12

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის აღმასრულებელი და საკანონმდებლო, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების ფინანსური აუდიტი, შესაბამისობის აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით გათვალისწინებული, 2013 წლის შემდეგი ძირითადი საქმიანობები: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (კოდი0100), თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (კოდი0200), ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (კოდი0300), კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (კოდი 050104, 050105, 050106, 050107, 050108, 050109, 050304, 05030402), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი0600). აუდიტორული პროცედურები განხორციელდა შერჩევითობის მეთოდის გამოყენებით გენერალური ერთობლიობის შესახებ დაკვნის გამოსატანად.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში შემოსულობებისა და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით

დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად აღრიცხული 96 112 ლარი და აუდიტის პერიოდში 2013 წლის ბუღალტრული ბალანსის წარმოდგენლობა, ფინანსური აღრიცხვის ხარვეზებზე მიუთითებს.

- 2013 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, თვითმმართველი ერთეულის დეპუტატების სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯები 96 112 ლარი, საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების მუხლის ნაცვლად, დაფინანსებულია სუბსიდიის მუხლით, რითაც დაღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მე-4 თავის მოთხოვნები.

- აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბუღალტრული ბალანსი დამტკიცებული ფორმების მიხედვით, შესაბამისი უფლებამოსილი პირის განმარტებით აღნიშნული გამოწვეულია კომპიუტერული და პროგრამული უზრუნველყოფის მწყობრიდან გამოსვლით, რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს სამუშაოები.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

შემოსულობები

დაზუსტებული ბიუჯეტით, მუნიციპალიტეტის 2013 წლის შემოსულობები განისაზღვრა 12 881 890 ლარით. ფაქტობრივი შემოსულობები შეადგენს 12 939 390 ლარს (გეგმის 100,44%), მათ შორის შემოსავლები შეადგენს 12 915 617 ლარს (გეგმის 100,43%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლების სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 23 773 ლარს (გეგმის 109,83%).

შემოსავალი

დაზუსტებული ბიუჯეტით, 2013 წლის შემოსავლების გეგმა შეადგენს 12 860 245 ლარს, ფაქტობრივი საკასო შესრულება შეადგენს 12 915 617 ლარს, ანუ გეგმის 100,43 პროცენტს. მათ შორის გადასახადების ნაწილში გეგმა შესრულდა 103.86 %-ით (გეგმა 789 189 ლარი, საკასო შესრულება 819 708 ლარი), გრანტების ნაწილში 99,98 %-ით (გეგმა 11 127 742 ლარი, საკასო შესრულება 11 125 895 ლარი), სხვა შემოსავლების ნაწილში 102,83%-ით (გეგმა 943 314 ლარი, საკასო შესრულება 970 014 ლარი).

გაწეული ხარჯი

მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს გაწეულია 10 394 244 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 2 168 147 ლარი (გეგმის 99,87%), პრემიების გაცემა ხდებოდა თითოეულ თანამშრომელზე ყოველ კვარტალში, საშუალოდ თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროცესში, სათანადო დასაბუთების გარეშე სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელება და სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების პირობებში პირგასამტეხლოს დაუკისრებლობა, 7 369 ლარის საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიულ განკარგვაზე მიუთითებს.

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა, ელექტრონული ტენდერის საშუალებით, თხილწარის მეურნეობის სახლი N3 სახურავის მოწყობის სამუშაოებისათვის, ხელშეკრულება¹ გაუფორმა შპს „გრინ ლაითი“-ს, ღირებულებით 22 220 ლარი, სამუშაოები უნდა შესრულებულიყო 45 კალენდრული დღის ვადაში. წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების მიღების აქტით, იმავე წლის 20 ივნისს, გაფორმდა მხარეთა შორის შეთანხმება² და დასრულდა სამუშაოები. აღნიშნული ცვლილებით შემცირდა სამუშაოების მოცულობები და შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდა შემცირებული მოცულობების მიხედვით, ღირებულებით 18 776 ლარი, აქვე აღსაღნიშნავია, რომ სულ 10 დასახელების სამუშაოდან, 6 შემთხვევაში მოცულობების შემცირების მოტივს წარმოადგენს სამუშაოების ფაქტობრივი მოცულობების გათვალისწინება. აღნიშნული ცვლილება არ არის პროექტის ავტორთან შეთანხმებული და მის მიერ დადასტურებული. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სამუშაოების შემცირების რეალობა რისკის შემცველია და მიმწოდებელზე სამუშაოების არასრულად შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების³ დაკისრების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა, ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ახალგაზრდული ცენტრის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის, ხელშეკრულება⁴ გაუფორმა შპს „მაჯას“, ღირებულებით 15 700 ლარი, სამუშაოები დასრულების ვადად განისაზღვრა 2013 წლის 11 სექტემბერი. სამუშაოების დასრულების ბოლო დღეს, 11 სექტემბერს, მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება⁵

¹ ხელშეკრულება N92 24.05.2013წ.

² ურთიერთ შეთანხმების აქტი N1 20.06.2013წ.

³ 18776X5%=938.8

⁴ ხელშეკრულება N152 29.07.2013წ.

⁵ ურთიერთ შეთანხმების აქტი N1 11.09.2013წ.

და შესყიდვის ობიექტის ჩაბარების ვადა გაგრძელდა 7 ოქტომბრამდე, 25 დღით. აღნიშნული ცვლილების საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში ჩამოინგრა ჭერი, რის გამოც მიმწოდებელმა ვერ მოახერხა დროულად დაესრულებინა სამუშაოები, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ ხდება იდენტიფიცირება, აღნიშნული გარემოება მიმწოდებლის დაუდევრობით იყო გამოწვეული თუ სხვა ფაქტორებით, რაც მიმწოდებელზე სამუშაოების დასრულების ვადაგადაცილებისათვის 981⁶ ლარის პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა, სოფელ ზედა ჭარნალის მეურნეობაში საცხოვრებელი სახლის გამაგრებითი სამუშაოებისათვის, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი⁷, სატენდერო დოკუმენტაციით, სხვა სამუშაოებთან ერთად განსაზღვრული იყო ლენტური საძირკვლის მოწყობა B20 კლასის ბეტონით. ვაჭრობის რაუნდების დასრულების შემდგომ, ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარადგინა საბოლოო დაზუსტებული დოკუმენტაცია, სადაც დაფიქსირებულია, რომ ლენტური საძირკვლის მოწყობა მოხდებოდა B15 კლასის ბეტონით. მიუხედავად აღნიშნულისა, შემსყიდველის მიერ არ მომხდარა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია⁸ და გაუფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება⁹ ღირებულებით 108 999 ლარზე. 2013 წლის 26 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება¹⁰ სამუშაოების წარმოების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შესახებ, სადაც სხვა ცვლილებებთან ერთად აღნიშნული სამუშაო შეიცვალა და ლენტური საძირკვლის მოწყობის მთლიანი მოცულობა, 62 კუბური მეტრი განისაზღვრა B20 კლასის ბეტონით, თუმცა მიმწოდებელს აღნიშნული ეტაპისათვის შესრულებული აქვს 58 კუბ.მ საძირკვლის მოწყობა B15 კლასის ბეტონით და ცვლილების შემდგომ, დარჩენილი 4 კუბ.მ მეტრის შესრულება წარმოადგინა B20 ბეტონით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს სახით დარიცხვას უნდა დაქვემდებარებულიყო 5 449,2¹¹ ლარი.

2. მაჭახლის ხეობისათვის, სამგზავრო ავტობუსის შეძენასთან დაკავშირებით სათანადო დასაბუთების არარსებობის პირობებში, მიმწოდებელზე

⁶ 15500X0.25X25=981.25

⁷ SPA130014384

⁸ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები

⁹ ხელშეკრულება N161 06.08.2013წ.

¹⁰ ურთიერთ შეთანხმების აქტი N1 26.11.2013წ.

¹¹ 108984X5%=5449.2.

75 500 ლარის გადახდა, საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიკურ განკარგვაზე მიუთითებს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ, მაჭახლის ხეობისათვის სამგზავრო ავტობუსის შეძენასთან დაკავშირებით, 2013 წლის 26 ივნისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში¹², რომლის სავარაუდო ღირებულებაც თავდაპირველად 85 000 ლარით განისაზღვრა, გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ივერია მოტორსი“ და 2013 წლის 8 აგვისტოს გაფორმებულია N163 ხელშეკრულება, 75 000 ლარად ერთი ერთეული სამგზავრო ავტობუსის მიწოდებასთან დაკავშირებით. აუდიტის მიმდინარეობისას მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი რწმუნება საწყის ეტაპზე ბაზრის კვლევის და შესაბამისად სატენდერო ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ მიმწოდებელს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება შეძენილი აქვს „პავლოვის“ ავტობუსების ქარხანაში 718 000 რუსულ რუბლად, საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით 36 260 ლარად¹³. ამდენად, მიმწოდებლის მიერ შეძენილ ფასთან შედარებით მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია 38 741 ლარით მეტი¹⁴. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის მიმღები კომისიის აქტში არ არის მითითებული სატრანსპორტო საშუალების გავლილი მანძილი, რაც სატენდერო პირობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით, გამარტივებული შესყიდვით, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების წარმოდგენილობის პირობებში, კანონშეუსაბამოდ¹⁵, პროცენტული გაანგარიშებით სატრანსპორტო ხარჯებისათვის 2 691,27 ლარის გადახდა, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვაზე მიუთითებს.

• ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების მოწყობათა დაკავშირებით, 2013 წლის 29 მარტს, გამარტივებული შესყიდვით, შპს „მაჯასთან“ გაფორმებულია N 61 ხელშეკრულება, 95 000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. 2013

¹² SPA 130013935

¹³ ავტომანქანა შეძენილია 2013 წლის 7 ოქტომბერს. 2013 წლის ივლისში, აგვისტოში სექტემბერში და ოქტომბერში ეროვნული ბანკის კურსით 100 რუსული რუბლი საშუალოდ შეადგენს 5,05 ლარს.

¹⁴ აღნიშნულ თანხაში არ მოიზრება ტრანსპორტირებისა და განბაჟების ღირებულებები.

¹⁵ ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე დარღვეულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანებით დამტკიცებული „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით განსაზღვრას.

წლის 15 აპრილს მხარეებს შორის გაფორმებულია შეთანხმება და სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა 57 990,64 ლარამდე, რაც შემდგომში გადახდილია სრულად. ხელშეკრულების შემადგენელი ხარჯთაღრიცხვით და შემდგომში წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების აქტებით, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებაზე პროცენტულად დამატებულია სატრანსპორტო ხარჯები სამი პროცენტის ოდენობით 1 204,86 ლარი¹⁶, ხოლო ზედნადები ხარჯებისა და გეგმური დაგროვების ჩათვლით სულ დამატებულია სატრანსპორტო ხარჯები 1 431,37 ლარი¹⁷.

- ახალსოფლის სტადიონის შემოღობვასთან დაკავშირებით, 2013 წლის 8 აგვისტოს, გამარტივებული შესყიდვით, შპს „მაჯასთან“ გაფორმებულია N 164 ხელშეკრულება, 26 820 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე, რაც შემდგომში გადახდილია სრულად. ხელშეკრულების შემადგენელი ხარჯთაღრიცხვით და შემდგომში წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების აქტებით, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებაზე პროცენტულად დამატებულია სატრანსპორტო ხარჯები სამი პროცენტის ოდენობით -546 ლარი¹⁸, ხოლო ზედნადები ხარჯებისა და გეგმური დაგროვების ჩათვლით სულ დამატებულია სატრანსპორტო ხარჯები 648,64 ლარი¹⁹.

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გაზსადენის მოწყობის სამუშაოებისათვის 2013 წლის 18 ივლისს, გამარტივებული შესყიდვით, შპს „ფერია 2011-თან“ გაფორმებულია N131 ხელშეკრულება, 20 985,8 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე, რაც შემდგომში გადახდილია სრულად. ხელშეკრულების შემადგენელი ხარჯთაღრიცხვით და შემდგომში წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების აქტებით, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებაზე პროცენტულად დამატებულია სატრანსპორტო ხარჯები სამი პროცენტის ოდენობით - 514.5 ლარი²⁰, ხოლო ზედნადები ხარჯებისა და გეგმური დაგროვების ჩათვლით სულ დამატებულია სატრანსპორტო ხარჯები 611.26 ლარი²¹.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა

¹⁶ 165,02+246,59+274,16+207,26+311,85=1204,86 ლარი.

¹⁷ 1204,86+10%+8%=1 431,37 ლარი.

¹⁸ 165,02+246,59+274,16+207,26+311,85=1204,86 ლარი.

¹⁹ 546+10%+8%=648,64 ლარი.

²⁰ 346.3+168.2=514.5 ლარი.

²¹ 514.5+10%+8%=611.26 ლარი.

არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

✓ მუნიციპალიტეტის მიერ, 2013 წლის 5 აგვისტოს გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული შესყიდვის საშუალებით (SPA130017084), განხორციელდა კულტურული ღონისძიების ორგანიზების სახელმწიფო შესყიდვა და გამარჯვებულ პრეტენდენტს, ინდ.მ „რამაზ თავდგირიძეს“, 2013 წლის 15 აგვისტოს გაუფორმდა N169 ხელშეკრულება, 4 597 ლარის ღირებულების მომსახურების განხორციელებაზე. საწყის ეტაპზე სატენდერო წინადადებაში, შემდგომში ხელშეკრულებაში და მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის იდენტიფიცირებული ჩასატარებელი/ჩატარებული ღონისძიების სახეობა, დანიშნულება, ჩატარების დრო, ადგილი, მონაწილე მუსუკალური ბენდის (კაცთა რაოდენობა) და იუმორისტული ნომრების რაოდენობა. აღნიშნულ პირობებში მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია 4 597 ლარი.

✓ მუნიციპალიტეტმა მზა სასაქონლო ბეტონის შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2013 წლის 9 ივლისს გააფორმა N123 ხელშეკრულება, შპს „აჭარელთან“ 9 232 კუბ/მეტრი M-250 მარკიანი მზა სასაქონლო ბეტონის მიწოდებასთან დაკავშირებით, რომლის ღირებულება 1 116 245,52 ლარით განისაზღვრა. მოგვიანებით, ამავე წლის 10 სექტემბერს, დამატებით გაფორმდა ხელშეკრულება N191 31,28 კუბ/მეტრი ბეტონის მიწოდებაზე ღირებულებით 3 787 ლარი, რომლებიც სრულად იქნა დაფინანსებული. შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი მოცულობების დადგენის მიზნით, საექსპერტო დადასტურება არ ფიქსირდება, რაც შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

გურამ დუმბაძე

/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/



გურანდა გვაზავა

/აუდიტორი/



მიხეილ დიასამიძე

/აუდიტორ-ასისტენტი/



29.12.2014 წელი

Page | 11

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის ბრძანება № 241
2009 წლის 15 აპრილი

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური
და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების
ბალანსის შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

ავტონომიური რესპუბლიკა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
თვითმმართველი ქალაქი, მუნიციპალიტეტი: ხელვაჩაური
პერიოდულობა: წლიური, 2014 წლის 1 იანვრისათვის
ზომის ერთეული: ლარი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 2013 წელი

დასახელება		შემოსულის კატეგორია	2013 წლის წლიური ფინანსური გეგმა		2013 წლის დაზღვევითი გეგმა		2013 წლის საკონსოლიდირებული		
			სულ	მათ შორის საპროექტო ხარჯების ფინანსური გეგმისათვის	სულ	მათ შორის საპროექტო ხარჯების ფინანსური გეგმისათვის	სულ	მათ შორის საპროექტო ხარჯების ფინანსური გეგმისათვის	
შემოსულობები			9,592.605	1,434.853	12,881.890	1,434.853	12,939.390	1,433.429	
შემოსავლები			1	9,592.605	1,434.853	12,881.890	1,434.853	12,939.390	1,433.429
არაფინანსური აქტივების კლება			31	21.645	0.000	12,860.246	1,434.853	12,915.617	1,433.429
ფინანსური აქტივების კლება			32	0.000	0.000	0.000	0.000	23.773	0.000
გადაღებულების ზრდა			33	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
შემოსავლები				9,570.960	1,434.853	12,860.246	1,434.853	12,915.617	1,433.429
გადასახადები			11	789.189	0.000	789.189	0.000	819.708	0.000
კონსუმი			11311	789.989	0.000	789.989	0.000	819.556	0.000
საქონლის საწარმოო კონსუმი (გარდა მშენებლის)			1131101	447.620	0.000	447.620	0.000	455.302	0.000
ფასიური პირთა კონსუმი (გარდა მშენებლის)			1131103	57.400	0.000	57.400	0.000	56.032	0.000
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე			1131104	50.000	0.000	50.000	0.000	50.000	0.000
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე			1131106	215.000	0.000	215.000	0.000	230.215	0.000
სხვა გადასახადები			1136	18.969	0.000	18.969	0.000	18.969	0.000
სხვა გადასახადები			116	0.200	0.000	0.200	0.000	0.152	0.000
გრანტები			13	7,838.457	1,434.853	11,127.742	1,434.853	11,125.895	1,433.429
საგადასახადო (მშენებლობის)			133	7,838.457	1,434.853	11,127.742	1,434.853	11,125.895	1,433.429
სხვა გადასახადები				4,632.100	1,434.853	4,632.100	1,434.853	4,632.060	1,433.429
გადასახადების ტრანსფერები				1,771.504	0.000	5,060.789	0.000	5,060.406	0.000
საგადასახადო ტრანსფერები				1,434.853	1,434.853	1,434.853	1,434.853	1,433.429	1,433.429
მ.პ. საკონსოლიდირებული				96.300	96.300	96.300	96.300	96.300	96.300
სხვა საგადასახადო ტრანსფერები				1,338.553	1,338.553	1,338.553	1,338.553	1,337.129	1,337.129
სხვა შემოსავლები			14	943.314	0.000	943.314	0.000	970.014	0.000
შემოსავლების საკონსოლიდირებული			141	563.117	0.000	563.117	0.000	532.186	0.000
არაფინანსური			1411	374.117	0.000	374.117	0.000	379.823	0.000
გრანტები			1415	189.000	0.000	189.000	0.000	152.363	0.000
შემოსავლები			14151	90.000	0.000	90.000	0.000	72.882	0.000
საგადასახადო			14154	99.000	0.000	99.000	0.000	79.481	0.000
საგადასახადო			142	154.970	0.000	154.970	0.000	174.302	0.000
გადასახადების ტრანსფერები			1422	49.570	0.000	49.570	0.000	49.927	0.000
საგადასახადო ტრანსფერები			14223	19.500	0.000	19.500	0.000	24.127	0.000
ფინანსური ტრანსფერები			14229	0.070	0.000	0.070	0.000	0.075	0.000
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე			14231	30.000	0.000	30.000	0.000	25.302	0.000
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე			1423	105.400	0.000	105.400	0.000	124.375	0.000
შემოსავლების საკონსოლიდირებული			14231	105.400	0.000	105.400	0.000	124.375	0.000
შემოსავლები			14232	105.400	0.000	105.400	0.000	124.375	0.000
გადასახადების ტრანსფერები			143	217.139	0.000	217.139	0.000	250.005	0.000
შემოსავლების საკონსოლიდირებული			144	217.139	0.000	217.139	0.000	250.005	0.000
შემოსავლები			145	8.088	0.000	8.088	0.000	13.521	0.000
არაფინანსური აქტივების კლება			31	21.645	0.000	21.645	0.000	23.773	0.000
ფინანსური აქტივების კლება			311	21.645	0.000	21.645	0.000	23.773	0.000
გადაღებულების ზრდა			314	21.645	0.000	21.645	0.000	23.773	0.000
შემოსავლები			3141	21.645	0.000	21.645	0.000	23.773	0.000
გადასახადები			31432	21.645	0.000	21.645	0.000	23.773	0.000
შემოსავლები			32	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
გადასახადები			3214	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
გადასახადები			3216	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
გადასახადები			3218	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
გადასახადების ზრდა			33	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
შემოსავლები			33	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
გადასახადები			33	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუნიციპალიტეტის გამგეობის მხ
საქონლ-ეკონომიკური სასაქონლო უფროსი
631107 5. ვარშაძე
ტ. ნაკაშიძე

ორგ. კოდი	დასახელება	2013 წლის წლიური დამტკიცებული გეგმა		2013 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება	
		სულ	მათ შორის სახ ბიუჯეტ ფონდები	სულ	მათ შორის სახ ბიუჯეტ ფონდები	სულ	მათ შორის სახ ბიუჯეტ ფონდები
	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	12,788.848	1,554.853	16,078.133	1,554.853	10,428.914	1,553.429
	მომუშავეთა რიცხოვნობა						
	ზარეები	213.000		0.000		0.000	
	შრომის ანაზღაურება	7,659.671	216.300	10,948.956	216.300	6,930.152	216.300
	საქონელი და მომსახურება	2,170.840	0.000	2,170.840	0.000	2,168.147	0.000
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1,148.475	0.000	1,150.038	0.000	976.129	0.000
	მიღწევები	5.500	0.000	5.500	0.000	4.900	0.000
	ოფისის ხარჯები	18.400	0.000	18.400	0.000	16.409	0.000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	347.940	0.000	347.940	0.000	262.259	0.000
	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შესახებ ხარჯები	8.000	0.000	8.000	0.000	7.186	0.000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა- შენახვის ხარჯები	4.000	0.000	4.000	0.000	0.000	0.000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	198.620	0.000	198.620	0.000	175.724	0.000
	სუბსიდიები	566.015	0.000	567.578	0.000	509.651	0.000
	სოციალური უზრუნველყოფა	2,586.239	96.300	2,586.239	96.300	2,535.166	96.300
	სხვა ხარჯები	1,063.417	120.000	4,435.977	120.000	857.274	120.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	690.700	0.000	605.862	0.000	393.436	0.000
	ვალდებულებების კლება	5,113.214	1,338.563	5,113.214	1,338.553	3,487.865	1,337.129
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	2,658.233	0.000	2,573.395	0.000	2,429.785	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა						
	ზარეები	178.000		0.000		0.000	
	შრომის ანაზღაურება	2,599.300	0.000	2,514.462	0.000	2,384.613	0.000
	საქონელი და მომსახურება	1,854.240	0.000	1,854.240	0.000	1,852.365	0.000
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	535.760	0.000	535.760	0.000	436.136	0.000
	მიღწევები	5.500	0.000	5.500	0.000	4.900	0.000
	ოფისის ხარჯები	16.600	0.000	16.600	0.000	14.609	0.000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	264.340	0.000	264.340	0.000	191.017	0.000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა- შენახვის ხარჯები	8.000	0.000	8.000	0.000	7.186	0.000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	173.620	0.000	173.620	0.000	150.724	0.000
	სუბსიდიები	67.700	0.000	67.700	0.000	67.700	0.000
	სხვა ხარჯები	99.600	0.000	99.600	0.000	96.112	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	109.700	0.000	24.862	0.000	0.000	0.000
	ვალდებულებების კლება	42.970	0.000	42.970	0.000	34.275	0.000
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	15.963	0.000	15.963	0.000	10.897	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა						
	ზარეები	26.000		0.000		594.308	0.000
	შრომის ანაზღაურება	617.600	0.000	622.799	0.000	587.723	0.000
	საქონელი და მომსახურება	388.480	0.000	393.679	0.000	393.679	0.000
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	128.420	0.000	128.420	0.000	97.932	0.000
	მიღწევები	5.500	0.000	5.500	0.000	4.900	0.000
	ოფისის ხარჯები	6.500	0.000	6.500	0.000	4.985	0.000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	64.220	0.000	64.220	0.000	40.576	0.000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა- შენახვის ხარჯები	3.000	0.000	3.000	0.000	2.709	0.000
	სუბსიდიები	49.200	0.000	49.200	0.000	44.762	0.000
	სხვა ხარჯები	99.600	0.000	99.600	0.000	96.112	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.100	0.000	1.100	0.000	0.000	0.000
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	13.100	0.000	13.100	0.000	6.585	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა						
	ზარეები	152.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	შრომის ანაზღაურება	1,891.700	0.000	1,886.501	0.000	1,796.890	0.000
	საქონელი და მომსახურება	1,465.760	0.000	1,460.561	0.000	1,458.686	0.000
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	407.340	0.000	407.340	0.000	338.204	0.000
	მიღწევები	10.100	0.000	10.100	0.000	9.624	0.000
	ოფისის ხარჯები	200.120	0.000	200.120	0.000	150.441	0.000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	5.000	0.000	5.000	0.000	4.477	0.000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა- შენახვის ხარჯები	124.420	0.000	124.420	0.000	105.962	0.000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	67.700	0.000	67.700	0.000	67.700	0.000
	სხვა ხარჯები	18.600	0.000	18.600	0.000	0.000	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	29.870	0.000	29.870	0.000	27.690	0.000
01 02 01	ადმინისტრაციული სამსახური	716.770	0.000	708.510	0.000	657.419	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა						

	ზარეები	686.900	0.000	678.640	0.000	629.729	0.000
	შრომის ანაზღაურება	366.480	0.000	358.220	0.000	356.345	0.000
	საქონელი და მომსახურება	301.820	0.000	301.820	0.000	273.384	0.000
	მიღწევები	9.000	0.000	9.000	0.000	9.000	0.000
	ოფისის ხარჯები	142.640	0.000	142.640	0.000	123.997	0.000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	5.000	0.000	5.000	0.000	4.477	0.000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	77.480	0.000	77.480	0.000	68.210	0.000
	სხვა ხარჯები	67.700	0.000	67.700	0.000	67.700	0.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	18.600	0.000	18.600	0.000	0.000	0.000
01 02 02	საფინანსო-ეკონომიკური სამსახური	29.870	0.000	29.870	0.000	27.690	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	109.300	0.000	108.347	0.000	101.592	0.000
	ზარეები	8.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	შრომის ანაზღაურება	109.300	0.000	108.347	0.000	101.592	0.000
	საქონელი და მომსახურება	90.720	0.000	89.767	0.000	89.767	0.000
	მიღწევები	18.580	0.000	18.580	0.000	11.825	0.000
	ოფისის ხარჯები	0.900	0.000	0.900	0.000	0.473	0.000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	13.180	0.000	13.180	0.000	6.896	0.000
01 02 03	ხელმძღვანელობის სამსახური	4.500	0.000	4.500	0.000	4.456	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	60.120	0.000	60.315	0.000	57.923	0.000
	ზარეები	5.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	შრომის ანაზღაურება	60.120	0.000	60.315	0.000	57.923	0.000
	საქონელი და მომსახურება	50.720	0.000	50.915	0.000	50.915	0.000
	მიღწევები	9.400	0.000	9.400	0.000	7.008	0.000
	ოფისის ხარჯები	3.000	0.000	3.000	0.000	1.208	0.000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	6.400	0.000	6.400	0.000	5.800	0.000
01 02 04	კულტურის, კულტურის, სპორტის, ტურისტების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	76.440	0.000	75.837	0.000	75.183	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	ზარეები	76.440	0.000	75.837	0.000	75.183	0.000
	შრომის ანაზღაურება	72.640	0.000	72.037	0.000	72.037	0.000
	საქონელი და მომსახურება	3.800	0.000	3.800	0.000	3.146	0.000
	მიღწევები	0.200	0.000	0.200	0.000	0.151	0.000
	ოფისის ხარჯები	3.600	0.000	3.600	0.000	2.995	0.000
01 02 05	ქონების მართვის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური	91.900	0.000	92.306	0.000	92.296	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	8.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	ზარეები	91.900	0.000	92.306	0.000	92.296	0.000
	შრომის ანაზღაურება	86.160	0.000	86.566	0.000	86.566	0.000
	საქონელი და მომსახურება	5.740	0.000	5.740	0.000	5.730	0.000
	მიღწევები	2.000	0.000	2.000	0.000	2.000	0.000
	ოფისის ხარჯები	3.740	0.000	3.740	0.000	3.730	0.000
01 02 06	ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური	110.000	0.000	107.206	0.000	101.248	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	10.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	ზარეები	110.000	0.000	107.206	0.000	101.248	0.000
	შრომის ანაზღაურება	94.000	0.000	91.206	0.000	91.206	0.000
	საქონელი და მომსახურება	16.000	0.000	16.000	0.000	10.042	0.000
	მიღწევები	7.200	0.000	7.200	0.000	2.755	0.000
	ოფისის ხარჯები	8.800	0.000	8.800	0.000	7.287	0.000
01 02 07	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	39.660	0.000	39.712	0.000	37.402	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	3.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	ზარეები	39.660	0.000	39.712	0.000	37.402	0.000
	შრომის ანაზღაურება	33.360	0.000	33.412	0.000	33.412	0.000
	საქონელი და მომსახურება	6.300	0.000	6.300	0.000	3.990	0.000
	მიღწევები	3.000	0.000	3.000	0.000	0.738	0.000
	ოფისის ხარჯები	3.300	0.000	3.300	0.000	3.252	0.000
01 02 08	შიდა აუდიტის სამსახური	31.160	0.000	31.222	0.000	27.396	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	2.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	ზარეები	31.160	0.000	31.222	0.000	27.396	0.000
	შრომის ანაზღაურება	24.960	0.000	25.022	0.000	25.022	0.000
	საქონელი და მომსახურება	6.200	0.000	6.200	0.000	2.374	0.000
	მიღწევები	2.500	0.000	2.500	0.000	0.297	0.000
	ოფისის ხარჯები	3.700	0.000	3.700	0.000	2.077	0.000

01 02 09	ტერიტორიული ორგანოები (11)	686.220	0.000	692.916	0.000	674.121	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	78.000		0.000		0.000	
	ხარჯები	686.220	0.000	692.916	0.000	674.121	0.000
	შრომის ანაზღაურება	646.720	0.000	653.416	0.000	653.416	0.000
	საქონელი და მომსახურება	39.500	0.000	39.500	0.000	20.705	0.000
	ოფისის ხარჯები	23.000	0.000	23.000	0.000	9.555	0.000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	16.500	0.000	16.500	0.000	11.150	0.000
01 03	სარეზერვო ფონდი	90.000	0.000	5.162	0.000	0.000	0.000
	ხარჯები	90.000	0.000	5.162	0.000	0.000	0.000
	სხვა ხარჯები	90.000	0.000	5.162	0.000	0.000	0.000
01 04	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	15.963	0.000	15.963	0.000	10.897	0.000
	ვალდებულებების კლება	15.963	0.000	15.963	0.000	10.897	0.000
01 04 01	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	15.963	0.000	15.963	0.000	10.897	0.000
	ვალდებულებების კლება	15.963	0.000	15.963	0.000	10.897	0.000
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	575.700	0.000	575.700	0.000	372.352	0.000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	35.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	ხარჯები	388.300	0.000	388.300	0.000	372.352	0.000
	შრომის ანაზღაურება	316.600	0.000	316.600	0.000	315.782	0.000
	საქონელი და მომსახურება	71.700	0.000	71.700	0.000	56.570	0.000
